

ხალხის ლოცვები

ფორმა V

დიაკონი ან სხვა ლიდერი ამბობს:

მშვიდობაში, მოდით ვილოცოთ უფლისადმი, სიტყვებით: „უფალო შეგვიწყალე“ (ან „კირიე ელეისონ“).

In peace, let us pray to the Lord, saying, “Lord, have mercy” (or “Kyrie eleison”).

1. ღმერთის წმინდა ეკლესიისათვის, რათა ის აღვსილი იყოს ჭეშმარიტებითა და სიყვარულით, და უდანაშაულო აღმოჩნდეს შენი მოსვლის დღეს, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.

კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

1. For the holy Church of God, that it may be filled with truth and love, and be found without fault at the day of your coming, we pray to you, O Lord.

Kyrie eleison/Lord, have mercy.

2. ჩვენი თავჯდომარე ეპისკოპოსის - მაიქლ ქერისათვის, ჩვენი ეპისკოპოსის - მარკ ედინგტონისათვის, ყველა ეპისკოპოსისა და სხვა ღვთისმსახურისათვის, და ღმერთის ყოველი წმინდა ხალხისათვის, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.

კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

2. For *Michael Curry*, our Presiding Bishop, for *Mark Edington*, our own Bishop, for all bishops and other ministers, and for all the holy people of God, we pray to you, O Lord.

Kyrie eleison/Lord, have mercy.

3. ყველასთვის, ვისაც ღმერთის რიდი აქვს და სწამხარ შენ, უფალო ქრისტე, რათა შეწყდეს ჩვენი განხეთქილება და დაე ყველანი იყვნენ ისეთივე ერთნი, როგორც შენ და მამა ხართ ერთნი, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.

კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

3. For all who fear God and believe in you, Lord Christ, that our divisions may cease, and that all may be one as you and the Father are one, we pray to you, O Lord.

Kyrie eleison/Lord, have mercy.

4. ეკლესიის მისიისათვის, რათა ერთგულ დამოწმებაში ის ქადაგებდეს სახარებას დედამიწის კიდებამდე, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

4. For the mission of the Church, that in faithful witness it may preach the Gospel to the ends of the earth, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

5. მათთვის ვისაც ჯერაც არ სწამს და მათთვის, რომლებმაც დაკარგეს რწმენა, რათა მათაც მიიღონ სახარების სინათლე, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

5. For those who do not yet believe, and for those who have lost their faith, that they may receive the light of the Gospel, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

6. სამყაროს მშვიდობისათვის, რათა ერებსა და ხალხებს შორის გაიზარდოს პატივისცემისა და შემწყნარებლობის სული, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

6. For the peace of the world, that a spirit of respect and forbearance may grow among nations and peoples, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

7. საჯარო ნდობის პოზიციაზე მყოფთათვის [განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტისათვის], რათა ისინი ემსახურონ სამართლიანობას და ხელი შეუწყონ ყოველი ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

7. For those in positions of public trust [especially for the president and the Cabinet of Ministers of our country], that they may serve justice, and promote the dignity and freedom of every person, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

8. ღარიბების, დევნილების, სნეულებისა და ყველასთვის, ვინც იტანჯება; ლტოლვილების, პატიმრებისა და ყველასთვის, ვინც საფრთხეშია; რათა შემსუბუქებულნი და დაცულნი იყვნენ, შენდამი ვლოცულობთ, უფალო. კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

8. For the poor, the persecuted, the sick, and all who suffer; for refugees, prisoners, and all who are in danger; that they may be relieved and protected, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

9. ამ სამრევლოსთვის [აქ მყოფთა და არმყოფთათვის], რათა გავთავისუფლდეთ გულის სიმძიმისაგან და გამოვავლინოთ შენი დიდება ყველაფერში რასაც ვაკეთებთ, შენდამი ვლოცულობთ, უფალო. კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

9. For this congregation [for those who are present, and for those who are absent], that we may be delivered from hardness of heart, and show forth your glory in all that we do, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

10. ჩვენი მტრებისათვის და მათთვის, ვინც ბოროტებას გვისურვებს; და ყველასთვის, ვისაც ზიანი მივაყენეთ ან შეურაცხყავით, შენდამი ვლოცულობთ, უფალო. კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

10. For our enemies and those who wish us harm; and for all whom we have injured or offended, we pray to you, O Lord.
Kyrie eleison/Lord, have mercy.

11. მათთვის, ვინც ჩვენს ლოცვებს საჭიროებს; ჩვენი ოჯახების, მეგობრებისა და მეზობლებისათვის; რათა განთავისუფლდნენ შფოთვისაგან და იცხოვრონ სიხარულში, მშვიდობასა და ჯანმრთელობაში, შენდამი ვლოცულობთ, უფალო. კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალე.

11. For all who have commended themselves to our prayers; for our families, friends, and neighbors; that being freed from anxiety, they may live in joy, peace, and health, we pray to you, O Lord.

Kyrie eleison/Lord, have mercy.

12. ყოველთათვის, რომლებიც შენც ეკლესიასთან თანაზიარებაში მიიცვალნენ, და მათთვის, რომელთა რწმენაც მხოლოდ შენთვისაა ცნობილი, რათა ყველა წმინდანთან ერთად მათაც ჰქონდეთ განსასვენებელი იქ, სადაც არის არა ტკივილი და მწუხარება, არამედ მარადიული ცხოვრება, შენდამი ვლოცულობთ, უფალო.
კირიე ელეისონ/უფალო შეგვიწყალო.

12. For all who have died in the communion of your Church, and those whose faith is known to you alone, that, with all the saints, they may have rest in that place where there is no pain or grief, but life eternal, we pray to you, O Lord.

Kyrie eleison/Lord, have mercy.

13. [მარად-ნეტარ ქალწულ მარიამთან, ნეტარ წმინდა ნინოსთან და] ყველა წმინდანთან თანამყოფობაში გახარებულებმა, მოდით ჩვენი თავი, ერთმანეთი და ჩვენი მთელი ცხოვრება მივანდოთ ქრისტეს - ჩვენს ღმერთს.
შენ, უფალო ღმერთო ჩვენო.

13. Rejoicing in the fellowship of [the ever-blessed Virgin Mary, blessed Saint Nino and] all the saints, let us commend ourselves, and one another, and all our life to Christ our God.
To you, O Lord our God.

მდუმარება

აღმსრულებელი ამატებს დამამთავრებელ კოლექტას ან შემდგომ დოქსოლოგიას:

რამეთუ შენია ბრწყინვალება, მამო, ძეო და წმინდაო სულო; შენია მეფობა და ძალა და დიდება, ახლა და მარადიულად. *ამენ.*

For yours is the majesty, O Father, Son, and Holy Spirit; yours is the kingdom and the power and the glory, now and for ever. *Amen.*